პროექტი

საქართველოს კანონი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 46^5 და 46^6 მუხლები:

„მუხლი 46^5. ბავშვის მასობრივ გასართობ საცეკვავო ცენტრებში (ღამის კლუბებში) და ინტერნეტ სალონებსა და კაფეებში დაშვების წესების დარღვევა

1. საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ დადგენილი მასობრივ გასართობ საცეკვავო ცენტრებში (ღამის კლუბებში) და ინტერნეტ სალონებსა და კაფეებში ბავშვის დაშვების წესების დარღვევა -

გამოიწვევს საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.

მუხლი 46^6. საჯარო ღონისძიების ხელმძღვანელის მიერ საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობა

ბავშვის მონაწილეობით გამართული საჯარო ღონისძიების ხელმძღვანელის მიერ საქართველოს კანონის ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი“ დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.“.

2. 139^5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 139^5. გადამყვანი კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა

1. გადამყვანი კომპანიის მიერ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს გადამყვანი კომპანიის ან გადამყვანი კომპანიის წარმომადგენლის დაჯარიმებას სახმელეთო ტრანსპორტის შემთხვევაში 300 ლარის ოდენობით, საზღვაო ტრანსპორტის შემთხვევაში – 1000 ლარის ოდენობით, ხოლო საჰაერო ტრანსპორტის შემთხვევაში – 1500 ლარის ოდენობით.

2. ბავშვების საბავშვო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირება საქართველოს კანონის ,,ბავშვის უფლებების კოდექსი“ დადგენილი მოთხოვნების დარღვევით -

გამოიწვევს გადამყვანი კომპანიის ან გადამყვანი კომპანიის წარმომადგენლის დაჯარიმებას – 1000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე.“.

3. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 144^{11} და 144^{12} მუხლები:

,,მუხლი 144^{11} მაუწყებლობის საშუალებებით გავრცელებული პროგრამების ასაკობრივი ნიშანდების და საეთერო დროის განსაზღვრის წესების დარღვევა

1. მაუწყებლობის საშუალებებით გავრცელებული პროგრამების ასაკობრივი ნიშანდების და საეთერო დროის განსაზღვრის წესების დარღვევა -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.

მუხლი 144^{12}. ინტერნეტ გვერდზე ბავშვისათვის საფრთხის შემცვლელი ინფორმაციის განთავსების და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში,

ბიბლიოთეკებში და ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებებში ბავშვის ინტერნეტ ქსელზე წვდომის წესების დარღვევა

1. ინტერნეტ გვერდზე ბავშვისათვის საფრთხის შემცვლელი ინფორმაციის განთავსების და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ბიბლიოთეკებში და ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებებში ბავშვის ინტერნეტ ქსელზე წვდომის წესების დარღვევა ან კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.“

4. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 170^1 მუხლი:

„მუხლი 170^1. არასრულწლოვნისთვის განათლების მიღებაში ხელშეშლა

არასრულწლოვნის ჩაბმა ან/და გამოყენება ისეთი სამუშაოს შესასრულებლად, რომელიც ხელს უშლის განათლების მიღებაში ან საზიანოა მისი ჯანმრთელობის, ფიზიკური, გონებრივი, მორალური, ემოციური ან/და სოციალური განვითარებისთვის -

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისა - 2 000 ლარის ოდენობით.“.

5. 171^3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 171^3. ინდუსტრიაში 18 წლამდე ასაკის პირის ჩაბმა

1. ინდუსტრიაში 18 წლამდე ასაკის პირის ჩაბმა, სადაც ხდება ალკოჰოლური სასმელების, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სამკურნალო საშუალებების, თამბაქოს ნაწარმის წარმოება, დასაწყობება, ტრანსპორტირება ან რეალიზაცია

– გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით. “.

6. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 172^8 მუხლი:

,,მუხლი 172^8 საჯარო კინოჩვენებებზე ბავშვის დაშვების წესების დარღვევა

საჯარო კინოჩვენებებზე ბავშვის დაშვების წესების დარღვევა -

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.“.

7. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 172^9 მუხლი:

,,მუხლი 172^9 ჟურნალ-გაზეთებისა და ბეჭდური მედიის სხვა სახის პუბლიკაციების ბავშვზე ხელმისაწვდომობის წესების დარღვევა

ჟურნალ-გაზეთებისა და ბეჭდური მედიის სხვა სახის პუბლიკაციების, რომლებიც შეიცავენ ბავშვისათვის საფრთხის შემცველ ინფორმაციას ბავშვზე მიყიდვა, ჩუქება ან სხვა ფორმით ხელმისაწვდომობა -

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.“.

8. 208 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42^1 და 42^2 მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 43^1–44^3, 44^5, 44^7–44^{11}, 45-ე–46^4, 48-ე, 49-ე, 50^1, 51-ე–55^4, 56-ე, 57-ე–59-ე, 59^2–მე-60, 60^3–61^1, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 71-ე, 71^1, 72^1–78-ე, 79^1–81-ე, 82^1, 82^2, 82^5, 84-ე–86-ე, 87^1–89^3, 91^2, 91^3, 94-ე, 95-ე, 99-ე, 100^1, 100^2, 103^1, 104-ე და 105^1 მუხლებით, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, 128^1–128^5, 143-ე, 144-ე, 144^{10}, 145-ე, 146^1, 148-ე, 150-ე, 150^1, 151-ე, 152-ე, 152^2, 153-ე, 153^1 და 153^3–153^5 მუხლებით, 153^6 მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით, 154-ე–154^2, 155^1 და 155^2 მუხლებით, 155^3 მუხლის მე-11–მე-20 ნაწილებით, 155^6 მუხლის მე-3–მე-5 ნაწილებით, 155^7–155^{10}, 156-ე, 157^1–158^1, 159-ე, 159^1, 159^4–159^{10}, 163-ე, 164-ე, 164^4, 165^1–165^3, 166-ე, 167-ე და 170^1 მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171^2–171^4 მუხლებით, 171^5 მუხლის

პირველი, მე-2, მე-4–მე-6 და მე-8–მე-16 ნაწილებით, , 172-ე, 172^{4}–172^{6}, 173-ე, 173^{4}–173^{7}, 173^{9}, 173^{12} და 174^{1} მუხლებით, 174^{15} მუხლის მე-4 ნაწილით, 175^{1} და 175^{2} მუხლებით, 177-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-8, მე-12 და მე-13 ნაწილებით, 177^{8}, 177^{9}, 177^{11} და 177^{12} მუხლებით, 177^{13} მუხლით (მხოლოდ ამ კოდექსის 245-ე მუხლის 4^{1} ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში), 178-ე, 179^{1}–179^{3}, 180-ე და 181-ე მუხლებით, 181^{1} მუხლის მე-2 ნაწილითა და 182-ე, 183-ე, 187-ე, 187^{1}, 189-ე, 192-ე, 195-ე, 196^{3}, 196^{6}, 197^{1}, 197^{2} და 199^{1} მუხლებით.“.

9. 209^{3} მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კოდექსის 46^{5}, 46^{6}, 55^{5} , 77^{1} და 77^{2} მუხლებით, 82^{5} მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე და 107^{2}–107^{4} მუხლებით, 114^{2} მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125^{2}–125^{4} მუხლებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე–135^{4} მუხლებით, 139^{5} მუხლის მე-2 ნაწილით, 146^{1} მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 150-ე–150^{3} მუხლებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^{1}, 151^{2} და 152^{3} მუხლებით, 153^{6} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით და 153^{9} , 156^{1}, 158^{3} - 158^{4} ,172^{8} და 172^{9} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.“.

10. 228-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 228. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ამ კოდექსის 141-ე, 142-ე, 144^{1}, 144^{3}–144^{5}, 144^{11} და 144^{12} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.“.

11. 239-ე მუხლის:

ა) მე-14 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 14^{1} ნაწილი:

,,14^{1}. 46^{5}, 46^{6}, 139^{5} მუხლის მეორე ნაწილით, 172^{8} და 172^{9} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურის შესაბამისი თანამდებობის პირი.“.

ბ) 35-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,35. ამ კოდექსის 141-142-ე, 144^{1}, 144^{3}–144^{5}, 144^{11} და 144^{12} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილი პირები.“.

გ) 60^{1} ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 60^{1}. ამ კოდექსის 139^{5} მუხლი პირველი ნაწილით, 155-ე, 170-ე-171-ე და 172-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების უფლებამოსილი პირები.“.

12. 240^{1} მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ამ კოდექსის 46^{5}, 46^{6}, მუხლებით, 103-ე და 107^{4} მუხლებით, 114^{2} მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125^{2} მუხლით, 125^{3} მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, 125^{4} მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე-135^{4}, 139^{5} მუხლის მე-2 ნაწილით, 172^{8} და 172^{9} მუხლებით და 153^{6} მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსს და მისი გამოწერის წესს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.“

13. 252-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კოდექსის 45-ე, 45^{1}, 48-ე, 49-ე, 50^{1}, 51-ე–56-ე და 57-ე–57^{2} მუხლებით, 57^{3} მუხლის მე-2 ნაწილით, 57^{4}–59-ე, 59^{2}–მე-60, 60^{3}–61^{1}, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 69^{4}, 69^{5}, 71-ე, 72^{1}–78-ე, 79^{1}–81-ე, 82^{2} და 84-ე–85^{5} მუხლებით, 86-ე მუხლის მე-12 ნაწილით, 88-ე–89^{3}, 91^{2}, 92^{1}, 94-ე, 95-ე, 96^{1}, 96^{2}, 96^{4}, 98^{1}, 99-ე, 100^{1}, 100^{2}, 103-ე–104-ე, 105^{1}, 134-ე, 135-ე, 143-ე, 144-ე, 145-ე, 146^{1}, 148-ე–152-ე, 152^{2}, 152^{3}, 153-ე, 153^{1}, 153^{3}–153^{6}, 154-ე–154^{2}, 156-ე, 157^{1}–158-ე, 164-ე, 164^{4}, 165-ე, 165^{1}, 166-ე, 167-ე, 170-ე და 170^{1} მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 172-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 172^{4}, 172^{8}-172^{9} , 173-ე–173^{2}, 173^{6}, 173^{7}, 173^{9}, 174-ე–174^{2}, 175-ე–175^{2}, 177^{1}, 177^{8}, 177^{9}, 179^{2}, 180-ე–183^{1}, 185-ე–185^{2},

187-ე, 187^1, 189-ე, 192-ე, 195-ე, 196^3, 197^1 და 199^1 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის დასწრება სავალდებულოა. თუ ეს პირი თავს არიდებს შინაგან საქმეთა ორგანოს ან ადმინისტრაციული სასამართლოს (მოსამართლის) გამოძახებით გამოცხადებას, იგი შეიძლება იძულებით იქნეს მიყვანილი შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივნისიდან

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**